პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 31 ივლისი, 1942 წ. № 179 (6495). ფასი 15 კაპ.

საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლო. გახსოვდეს: მტერი ღრმად შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში. იგი ემუქრება შენ, შენს ოჯახს, შენს ხალხს. საჭიროა რკინის ბარიერით გადაეღობოთ გზა მტერს. საჭიროა შევაჩეროთ იგი და მოვსპოთ. დღეს შენ საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლი ხარ. ხვალ სამშობლოს შეუძლია წითელი არმიის რიგებში გაგიწვიოს. ისწავლე იარაღის ხმარება. ისწავლე სწრაფად, მოთმინებით და გულმოდგინედ, რათა საჭირო წუთს შენ, ძლიერმა, დახელოვნებულმა და გამძლემ, დაიკავო შენი ადგილი ბრძოლის ველზე და მტკიცე, მარჯვე ხელით სასიკვდილო ლახვარი ჩასცე ჰიტლერელ ყაჩაღებს.

„პრავდა"

რკინისებური დისციპლინა, გამძლეობა და სიმტკიცე ჩვენი გამარჯვების საწინდარია

დღითი-დღე იზრდება ბრძოლების დაძაბულობა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. სამხრეთი ჰიტლერული ყაჩაღების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გააფთრებული ბრძოლების ასპარეზად იქცა. მტერი ჩვენი სამშობლოს შუაგულისაკენ მოისწრაფვის, იგი ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს ხელში ჩაიგდოს საბჭოთა ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რაიონები. ჰიტლერელთა ულეშქვაშ უკვე იტანჯებიან, გმინავენ მილიონობით საბჭო-[...]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 ივლისის დილის ცნობა

29 ივლისის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან ვორონეჟის რაიონში, აგრეთვე ციმლიანსკაიას და ბატაისკის რაიონებში და კლეტსკაიას სამხრეთ-დასავლეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

[...]

30 ივლისის საღამოს ცნობა

30 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები სასტიკ ბრძოლებს ეწეოდნენ ვორონეჟის რაიონში, აგრეთვე ციმლიანსკაიას რაიონში, ბატაისკის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში და კლეტსკაიას სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

• • •

[...]

დაუმორჩილებელი დონბასი

სლავიანსკში წათელ მზიან დღეს ჰიტლერელებმა ქალთა დიდი ჯგუფი გამოიყვანეს ქალაქის მოედანზე. სულ 75 ქალი იყო: ახალგაზრდები, მოხუცები, ჯერ კიდევ სულ ნორჩნიც. [...]

[...]

ი. ლაპონოგოვი

მოქმედი არმია, 29 ივლისი.

(საკუთარი სპეც. კორესპონდენტი).

ვორონეჟის რაიონში

მოქმედი არმია, 30 ივლისი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ვორონეჟის სამხრეთით, წყლის ზოლის დასავლეთ ნაპირას, საბჭოთა ნაწილებმა ავიაციისა და არტილერიის დახმარებით, იერიში მიიტანეს გერმანელთა თავდაცვაზე. ავიაცია და არტილერია მოწინააღმდეგის მიწურ საცეცხლე წერტებს ანგრევენ. მესანგრეები იღებენ და აფეთქებენ გერმანელთა ნაღმებს, გასასვლელებს აკეთებენ მავთულხლართებში.

ერთ დასახლებულ პუნქტში ჩვენმა მფრინავებმა პირდაპირი მოხვედრებით დაანგრიეს მტრის 17 თავდაცვითი ნაგებობა და 7 ძლიერი აფეთქება გამოიწვიეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი არტილერისტებმა უფროს ლეიტენანტ ვლასენკოს მეთაურობით. ერთ-ერთმა ბატარეამ პირდაპირი დამიზნებით ჩააჩუმა არტილერიის ბატარეა, დაანგრია 8 ქვიტკირის სახლი, რომლებიც ფაშისტებს ხანგრძლივ საცეცხლე წერტებად გადაექციათ. მოსპო ორი დაზგის ტყვიამფრქვევი და გაჟლიტა ორ ოცეულამდე მტრის ქვეითი ჯარი. ამ უბანზე ბრძოლები დაძაბული ხდება. წითელარმიელები გერმანელთა თავდაცვას არღვევენ და დიდ ზარალს აყენებენ მტრის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას.

ერთ-ერთ უბანზე მტერმა ძლიერი კონტრიერიში მოიტანა. ხანგრძლივი საარტილერიო შემზადების შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა უნგრელთა მე-4 პოლკი. მებრძოლებმა ახლო მოუშვეს იგი და ძლიერი ცეცხლი დაუშინეს ყველა სახის იარაღით. უნგრელები ჯიუტად მოძვრებოდნენ წინ. ბრძოლა საათნახევარს გაგრძელდა. ხშირად ხელჩართული შეტაკება იმართებოდა. მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა სიმტკიცე, მაღალი დისციპლინა და ორგანიზებულობა გამოიჩინეს. მათ არა მარტო შეაჩერეს მტრის შემოტევა, არამედ თავდაპირველ პოზიციებზეც უკუაგდეს უნგრელები. ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა.

ცხარე ბრძოლები იმართება გადასასვლელებთან. გუშინ ფაშისტთა დიდი ჯგუფი ჩვენს გადასასვლელს მოაწყდა. გერმანელებს ცეცხლით შეხვდნენ სანგრებიდან. ფაშისტები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ერთ ჩვენს ქვეგანაყოფზე იერიში მოიტანა ფაშისტთა რამდენიმე ასეულმა.

უკანასკნელ შესაძლებლობამდე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან თავიანთი პოზიციები და არ გამოუშვან მტერი—ასეთი კანონი აქვთ წითელი არმიის მეომრებს. შეუპოვარი ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. იგი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ გერმანელებმა ნაღმსატყორცნის ძლიერი სროლა ასტეხეს და კონტრიერიშზე გადმოვიდნენ გერმანელთა ტანკების ჯგუფი ცეცხლის. ფრქვევით მოდიოდა პირდაპირ ჯავშანსატეხ სვისტუნოვზე. მებრძოლმა დაუმიზნა. პირველი გასროლით წინა ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. ამ დროს ჩვენს ქვეგანაყოფს ფლანგიდან მოუარა ფაშისტ მეავტომატეთა ჯგუფმა. მტრის ტყვიამ მეთაური მოკლა. ქვეგანაყოფის მეთაურობა სვისტუნოვმა იკისრა. მებრძოლნი თავდადებით, შეუპოვრად იბრძოდნენ. მათ უკუაგდეს ჰიტლერელები და ახალი ზღუდე დაიკავეს.

საბჭოთა მფრინავები წინანდებურად აქტიურად ეხმარებიან ჩვენი ქვეითების მოქმედებას. მათ იერიში მიაქვთ მტრის პოზიციებზე, ანადგურებენ ფაშისტთა არტილერიას, სპობენ მათს დესანტებს.

ფრონტის ჩვენს უბანზე დღითიდღე უფრო ძლიერდება ჩვენი ნაწილების დარტყმა ჰიტლერელთა ურდოებზე. მტერი გააფთრებით გვიწევს წინააღმდეგობას. ვორონეჟის რაიონში ბრძოლები გრძელდება.

ზ. კრილოვი

ჯავშანსატყვრეველთა ბატალიონმა გერმანელთა 18 ტანკი მოსპო

მოქმედი არმია, 30 ივლისი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). მტერმა უდიდესი ზარალის ფასად მოახერხა ზოგიერთ ადგილას გადმოსულიყო დონის სამხრეთ ნაპირზე. ჩვენი ნაწილები ერთსულოვანი მოქმედებით მედგრად აკავებენ ფაშისტთა შემოტევას.

გერმანელთა ორმა პოლკმა 40 ტანკის დახმარებით სცადა გაერღვია ჩვენი თავდაცვის ხაზი. ტანკსაწინააღმდეგო თოფების ნ ბატალიონის ჯავშანსატყვრეველებმა გააფთრებულ შეტაკებაში პირველივე იერიშის დროს მტრის 18 მანქანა მოსპეს.

სხვა უბანზე ქვეითი ჯარის ბატალიონმა ფლანგიდან დაარტყა გერმანელ მეავტომატეთა და ნაღმსატყორცნელთა ორ ბატალიონს. მტერი განდევნილ იქნა თავდაპირველ ზღუდეებზე.

ჩვენი მოიერიშეები თავს დაესხნენ მტრის გადმოსასვლელს. გერმანელებმა დიდძალი საბურველი მიატოვეს და უკუიქცნენ. მსროლელთა ბატალიონმა მტრის არევ-დარევით ისარგებლა, გერმანელების მიერ გაკეთებული ხიდით გადავიდა მდინარის მარჯვენა ნაპირზე და მძიმე დარტყმა აგემა იქ თავმოყრილ ჰიტლერელთა პოლკს. გერმანელთა პოლკი თითქმის სავსებით განადგურებულია; მოსპობილია მისი არტილერიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ ბრძოლებში ტყვედ წამოიყვანეს ჯარისკაცები და ოფიცრები მე-3 სატანკო დივიზიისა, მოტოდივიზიის „დიდი გერმანიისა" და რუმინელთა 1-ლი ქვეითი დივიზიისა.

ლ. ტრიფონი

ნ. კოსტენკო

ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები საქართველოში დიდი წარმატებით ვრცელდება

რესპუბლიკაში უკვე გავრცელებულია 39.131.000 მანეთის ბილეთები

ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების გავრცელება საქართველოში კვლავ დიდი წარმატებით მიმდინარეობს. საქართველოს შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობებით, მთელს რესპუბლიკაში 29 ივლისის საღამოსათვის გავრცელებული იყო 39.131.000 მანეთის ლატარიის ბილეთები. აქედან აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—3.325.000 მანეთისა, აჭარის ასს რესპუბლიკაში—2.592.000 მანეთისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 1.162.000 მანეთისა.

აღნიშნული დროისათვის მთელს რესპუბლიკაში ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები ნაღდ ფულზე შეძენილი იყო 9.803.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ქალაქის მოსახლეობამ ნაღდ ფულზე შეიძინა 949.000 მანეთის ლატარიის ბილეთები, ხოლო კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა—8.854.000 მანეთისა.

30 ივლისის საღამოს 8 საათისათვის თბილისში ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები გავრცელებული იყო 7.302.000 მანეთის რაოდენობით, აქედან 26 კომისრის რაიონში გავრცელებული იყო—1.610.000 მანეთისა, ბერიას რაიონში—1.411.000 მან., სტალინის რაიონში—1.164.000 მან., ლენინის რაიონში—1.146.000 მან., კიროვის რაიონში—737.000 მან., მოლოტოვის რაიონში—666.000 მან. და ორჯონიკიძის რაიონში—568.000 მანეთისა.

ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების გავრცელება დიდი წარმატებით გრძელდება.

ლატარიის ათმანეთიანმა ბილეთმა ათი ათასი მანეთი მოიგო

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). 29 ივლისს ქუთაისის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მოგება შეამოწმა საბავშვო კინოთეატრის მუშაკმა ვენერა მელაშვილმა, რომლის 10-მანეთიანმა ლატარიის ბილეთმა № 81 სერია 230095 მოიგო 10.000 მანეთი.

„პრავდის" მოწინავე, 30/VII.

ქიროვის, ოქტომბრის, დასავლეთის, ჩრდილოეთის, ლენინისა და ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზების მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით*

„საპატიო ნიშნის" ორდენით:

გრიგორიანი ივანე მირზას-ძე—აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ქ. ბაქოს ძერჟინსკის რაიკომის მდივანი,
ცაგურია ვასილ იოსების-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი.
ცუცქირიძე ალექსანდრე გიორგის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მე-4 სალიანდაგო დისტანციის უფროსი,
ჩაგუნავა კონსტანტინე ნესტორის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსი,
ჭანტურია მიტროფანე ლევანის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი,
შეყრილაძე გიორგი დავითის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნავთლუღის სადგურის უფროსი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

აბასოვი აბას პილატ-ოღლი—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ხალაჩის სადგურის წყალსატუმბავის მემანქანე,
აბასოვი კასუმ კალიმ-ოღლი—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ბაქოს განყოფილების მატარებელთა მოძრაობის უშიშროების რევიზორის თანაშემწე,
აბდულაევი ჰაბიბ ალი-ოღლი—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის კიროვაბადის სადგურის მატარებელთა შემდგენი,
არაქელიანი ალექსანდრე მნაცაკანის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის კიროვაკანის სალიანდაგო დისტანციის უფროსი,
ახშარუმოვი ალექსანდრე გიორგის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსი,
ბაბაევი აღა ჰასან მეშადი ჰაბიბ-ოღლი — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ბაქოს სადგურის უფროსი მეისრე,
ბაშჩენკო კარპ ვლასის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის კავშირგაბმულობის ბაქოს დისტანციის ელექტრომექანიკოსი,
ბერიძე დავით დიმიტრის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მოძრაობის ხაშურის განყოფილების უფროსი,
ბლიაძე ტერენტი ნიკოლოზის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ხაშურის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე,
ვოსკობაევი ნიკოლოზ პეტრეს-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ალიატის განყოფილების სალიანის ქვეგანყოფილების დისპეტჩერი.
გავრილოვი ბორის ანტონის-ძე—თბილისის საელექტრომავლო დეპოს ოსტატი,
გალდავა ვლასი ტრიფონის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის გაზეთ „სტალინური ლოკომოტივის" რედაქტორი,
გეგეშიძე კონსტანტინე ვასილის-ძე—სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალი,
გეოდაკიანი ხაჩატურ გეორქის-ძე—ლენინაკანის სადგურის უფროსის მოადგილე,
გრიცენკო ნატალია ივანეს-ასული—ბაქოს სავაგონო უბნის ბრიგადირი,
გუგუშვილი რომანოზ სოფრომის-ძე—თბილისის სადგურის მტვირთავი,
გურგენიძე ვლასი ლევანის-ძე—ბათუმის დისტანციის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის უფროსი ელექტრომექანიკოსი,
ჯინჭარაძე ირაკლი ექვთიმეს-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა თბილისის საუბნო კანტორის უფროსი,
ეგიაზარიანი არშაკ პოღოსის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მილიციის ლეიტენანტი,
ეგოვიტინა ანა სტეფანეს-ასული—ბაქოს წევის ქვესადგურის მორიგე ელექტროტექნიკოსი,
ელისაშვილი ვლადიმერ სერგის-ძე—ხაშურის საელექტრომავლო დეპოს ზეინკალი,
ერზინკიანი არტემ გრიგოლის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სავაგონო სამსახურის უფროსის მოადგილე,
ზაქარიანი რუბენ ოჰანესის-ძე — ერევნის სადგურის უფროსი ტელეგრაფისტი,
ზინჩენკო კლიმ ანდრიას-ძე — სამტრედიის სადგურის მატარებლის შემდგენელი,
კაკაბაძე ანთიმოზ ლავრენტის-ძე—თბილისის სალიანდაგო დისტანციის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში,
კალმახელიძე ევგენი გიორგის-ძე — ხაჩმასის სალიანდაგო დისტანციის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში,
კასუმოვი იბრაჰიმ კასუმ-ოღლი—ბაქოს საორთქლმავლო დეპოს თბილი გარეცხვის გამგე,
კვანტალიანი ავქსენტი გრიგოლის-ძე—სამტრედიის სადგურის საკვანძო პარტკომის მდივანი,
კიკნაძე გრიგოლ მინაგოს-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილე,
ქიტაშვილი ივანე ილიას-ძე—თბილისის სავაგონო უბნის დურგალი,
კოვალი თეოდოსი იაკობის-ძე—ბალაჯარის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე,
კოზლოვი პავლე დავითის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის საგზაო გაზეთ „ბოლშევისტსკაია პუტიოვკის" რედაქტორი,
კოლესნიკოვი ივანე პავლეს-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მოძრაობის ბაქოს განყოფილების დისპეტჩერი ჩასხმის დარგში,
კოლპიკოვა ქსენია აბრამის-ასული—არაზლინის სადგურის მორიგე,
ლავრენჩუკი ვლადიმერ პეტრეს-ძე—ბაქოს კვანძის პარტკომის მდივანი,
ლეჟავა-კვაჭაძე ნინო კონსტანტინეს-ასული —ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო სასკოლო განყოფილების უფროსის მოადგილე,
ლიაპინი ალექსი კონსტანტინეს-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მოძრაობის ბაქოს განყოფილების უფროსის მოადგილე,
მამედოვი ურუფ ხანალი-ოღლი — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მინჯევანის დისტანციის სალიანდაგო ბრიგადირი,
მგელაძე ილია ხარლამის-ძე—თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი,
მელიქ-გრიგორიანი გერასიმე არაქელის-ძე —ლენინაკანის რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი,
მირზოევი ალი ახმედის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი,
ნაზაროვი ჯაფარ მამედ-ოღლი—კიროვაბადის საორთქლმავლო დეპოს ოსტატი,
ნამუ-ოღლი კოკან ნაბანის-ძე—თბილისის საორთქლმავლო დეპოს მეღუმელე,
ნანუშევი არშაკ მკრტიჩის-ძე—ბაქოს დისტანციის კავშირგაბმულობის უფროსი ელექტრომექანიკოსი,
ნასიროვი ალი გულმამედ-ოღლი—საათლის სალიანდაგო დისტანციის უფროსი საგზაო ოსტატი,
ონიკაშვილი გიორგი ივანეს-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ენერგიის მომარაგების თბილისის უბნის უფროსი,
სადიხოვი მუსტაფა მუსა-ოღლი—აჯიკაბულის სალიანდაგო დისტანციის უფროსი,
სანაძე სევერიანე ნიკოლოზის-ძე—თბილისის საორთქლმავლო დეპოს ხარატი,
სტეფანიანი მკრტიჩ ოჰანესის-ძე—ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე,
სურგულაძე შალვა გიორგის-ძე—ქსნის სადგურის უფროსი,
ტაშჩიანი გრაჩ სიმონის-ძე—ლენინაკანის სადგურის საკვანძო პარტკომის მდივანი,
ტერ-აკოფიანი არტაშეს ალექსანდრეს-ძე—ერევნის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე,
წივწივაძე პეტრე ბესარიონის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს სალიანდაგო სამსახურის ინჟინერი შედუღების დარგში,
ჩხიკვაძე დავით მიხეილის-ძე — სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის თბილისის დისტანციის უფროსი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის":

აბრამიანი ლაზარე სერგის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი,
ამბარცუმიანი თორგომ გრიგოლის-ძე — ლენინაკანის სავაგონო დეპოს მჭედელი,
ამიროვი აბი კუმბატ-ოღლი—ბალაჯარის სადგურის უმცროსი მეისრე,
ბაკუმოვა თეკლე ევგენის-ასული—ბალაჯარის სადგურის უფროსი მეისრე,
ბახტაძე სევერიანე ილარიონის-ძე—თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების პროპაგანდისა და აგიტაციის სექტორის ყოფილი უფროსი, ამჟამად ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი,
ვაშალომიძე სამსონ იოსების-ძე—სამტრედიის რეზერვის მთავარი კონდუქტორი,
ვლადიმიროვი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მიღება-დათხოვნის საგზაო განყოფილების უფროსი,
ვოლკოვი თევდორე სიმონის-ძე—სადგურ ხურდალანის გზის ოსტატი,
გაგნიაშვილი გიორგი სოლომონის-ძე—ნავთლუღის სადგურის უფროსი მეისრე,
გახანოვი ქერიმ ისკანდერ-ოღლი—ევლახის სადგურის მესიგნალე,
გონგაძე დავით ანდრიას-ძე—ხაშურის დისტანციის კავშირგაბმულობის უფროსი მუშა,
გოცაძე ქრისტეფორე ივანეს-ძე—ზესტაფონის სადგურის უფროსი მეისრე,
გრიგორიანი მოვსეს მკრტიჩის-ძე—სომხეთის კ. პ. (ბ) ერევნის სადგურის საკვანძო კომიტეტის მდივანი,
ხალიხ-ოღლი გუსარ—ბაქოს სადგურის გადამბმელი,
დადაშევი ალი მამედ რზა—ხაჩმასის დისტანციის სალიანდაგო ბრიგადირი,
ძიძიგური პეტრე პავლეს-ძე—ბათუმის სადგურის საკვანძო პარტკომის მდივანი,
დოვლათოვი ქერიმ აბდულას-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი,
ენგიბაროვი აბრამ ჰაზარის-ძე—აქსტაფის სადგურის ვაგონთა უფროსი შემმოწმებელი,
ზაქარაია კონსტანტინე თემკვეს-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ლიანდაგის 28-ე დისტანციის უფროსი მუშა,
კაკაბაძე ალექსანდრე ივანეს-ძე—თბილისის სადგურის მატარებლის შემდგენელი,
კასუმოვი ალი მამედის-ძე—კავშირგაბმულობის ნავთლუღის დისტანციის ავტობლოკირების მექანიკოსი,
რაჰმან-ოღლი ქერიმ—ბაქოს სავაგონო უბნის მესახურავე,
კუზმენკო ნატალია ნიკოლოზის-ასული — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ალიათის განყოფილების სათადარიგო აგენტი,
ყულიევი ცაჩაი ადიგიოზალ-ოღლი—სადგურ დაშბურუნის უფროსი,
ყულიევი ხანალი ჰუსეინ-ოღლი—სადგურ მინჯევანის სავაგონო ოსტატი,
ლომია ისიდორე ანდრიას-ძე—სადგურ ფოთის სალიანდაგო ოსტატი,
ლუთიძე ივანე გიორგის-ძე—თბილისის სადგურის მატარებლის შემდგენელი,
მაღრაძე ერასტი მალაქიას-ძე—ხაშურის განყოფილების პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე,
მაკოვკინი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის 26 კომისრის სახელობის ბაქოს ერთიანი დისპანსერის ექიმი-რენტგენოლოგი,
მამედოვი ჯანეთ პერვერდი-ოღლი—ბალაჯარის საორთქლმავლო დეპოს ოსტატი,
მამედოვი შამსადინ მამედ ხან-ოღლი—მინჯევანის სალიანდაგო დისტანციის ლიანდაგის შემომვლელი,
მელნიკოვი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მეორე უბნის ენერგომომარაგების საცდელი სადგურის უფროსი,
მინაშვილი ბესარიონ მიხეილის-ძე—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ბათუმის სალიანდაგო დისტანციის ლიანდაგის შემომვლელი,
ნაზარენკო ვასილ თეოდოსის-ძე—ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს შემდუღებელი,
ნანაძე ბეჟან ნესტორის-ძე—სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს ელექტროშემდუღებელი,
ნაუმოვი გიორგი ივანეს-ძე—კავშირგაბმულობის ალიათის დისტანციის ელექტრომექანიკოსი,
ნოზაძე მარგარიტა პავლეს-ასული—თბილისის სავაგონო უბნის ვაგონთა მიმღები,
პაპანაშვილი პლატონ ალექსის-ძე—თბილისის ელექტროდეპოს ელექტრომონტიორი,
პაპიკიანი არტევან სარიბეკის-ძე—ლენინაკანის სადგურის უფროსი მეისრე,
პერენესენკო დარია დანიელის-ასული — თბილისის სადგურის უფროსი მეისრე,
პეტროვი ნიკოლოზ მიხეილის-ძე—თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე,
რაჰიმოვი ნასირ მიქალ-ოღლი—ქიურდამირის სალიანდაგო დისტანციის ლიანდაგის ოსტატი,
როგავა ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე — ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ლიანდაგის ოსტატი,
სამედოვი შოპან ჰუსეინ-ოღლი—საბირაბადის რეზერვის მთავარი კონდუქტორი,
სარქისიანი სირეკან არშაკის-ძე—ლენინაკანის სავაგონო დეპოს ზეინკალი,
სიხარულიძე ვიქტორ ალექსანდრეს-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის საგზაო სანგანყოფილების უფროსი,
სიჭინავა ანტონ ილარიონის-ძე—თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს საბავშვო განყოფილების გამგე,
სტრელნიკოვა ევდოკია ივანეს-ასული — ალიათის საორთქლმავლო დეპოს მემანქანის თანაშემწე,
ხტულნევი სერგი ანდრიას-ძე — თბილისის სავაგონო უბნის ზეინკალი,
სუდაკოვი ნიკოლოზ სერგის-ძე—კიროვაბადის საორთქლმავლო დეპოს ხარატი,
თევზაძე თევდორე ნესტორის-ძე—სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს უფროსის მოადგილე,
ტიტორენკო ელისაბედ ევდოკიმეს-ასული—კიროვაბადის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე,
ხასმეტდინოვი შამილ სალაზდინის-ძე—ბალაჯარის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე,
წერეთელაშვილი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ენერგომომარაგების ხაშურის უბნის უფროსი,
ჩივოგიძე ნიკოლოზ სოლომონის-ძე—თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე,
ჭყონია ლავრენტი არისტოფეს-ძე—ბათუმის სავაგონო დეპოს მჭედელი,
შიუკაშვილი ლავრენტი ილიას-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი.

*) დასასრული. იხ. გაზ „კომუნისტი" № 177.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

გაუფრთხილდეთ თითოეულ ფუთ მარცვლეულს, მოსავალი ავიღოთ მთლიანად—უკანასკნელ თავთავამდე

მოსავლის აღება თელავის რაიონში

თელავი („კომუნისტის" კორ.). ზარის სოფლების კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს ქერის აღება. ქერის გალეწვა გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს სოფ. კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში და სოფ. იყალთოს კოლმეურნეობა „წითელ სხივში"

მასობრივად დაიწყო ხორბლის აღება. ხორბალი აღებულია 2.500 ჰექტარზე.

სოფ. კურდღელაურის, სოფ. ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის, სოფ. ქისტაურის ვოროშილოვის სახელობის, სოფ. წინანდლის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას წითელი არმიის პურის ფონდის შექმნის შესახებ.

კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. ამ მხრივ მოწინავეთა რიგებში არიან ახმეტის პირველი მაისის სახელობის, სოფ. შალაურის ბერიას სახელობის, სოფ. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

გ. ცხადაძე

წითელი არმიის პურის ფონდისათვის

ყარაია („კომუნისტის" სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში გულდასმით იხილავენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას იმის შესახებ, რომ კოლმეურნეთა სურვილის თანახმად წითელი არმიისათვის შეიქმნას პურის ფონდი.

— ჩვენ,—განაცხადა ყარაიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აზიზ ისმაილოვმა,—მხურვალედ მივესალმებით პარტიისა და მთავრობის დადგენილებას წითელი არმიისათვის პურის ფონდის შექმნის შესახებ. ვკისრულობთ სამი დღის ვადაში შევასრულოთ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულება, ხოლო ივლისის ბოლომდე წითელი არმიისათვის პურის ფონდში შევიტანოთ 1.500 კილოგრამი პური.

— ჩვენმა კოლმეურნეობამ, რომელიც ჩაბმულია სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, — სთქვა სოფ. ტატიანოვკის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ალ. გიორგაძემ,—ვალდებულება აიღო გალეწვისთანავე შეიტანოს წითელი არმიის პურის ფონდში თავისი წვლილი—800 კილოგრამამდე სუფთა მარცვლეული. გარდა ამისა, საერთო კრების დადგენილებით წითელი არმიისათვის ჩაბარებული იქნება 8 ცენტნერი კარტოფილი, 10 ცენტნერი კომბოსტო, 10 ცენტ. კიტრი, 10 ცენტ. პომიდორი, 2 ცენტ. სტაფილო, 4 ცენტ. ხახვი, 1,5 ცენტ. ლობიო. 2 ცენტ. ყურძენი, 100 კილოგრამი ყველი, 300 ცალი კვერცხი და სხვ.

წითელი არმიისათვის პურის ფონდში მარცვლეული შეაქვთ აგრეთვე სოფ. თაზაკენტის კოლმეურნეობა „სოციალიზმს", სოფ. ქესალოს მოლოტოვის სახელობის, სოფ. ბირლიკის ვოროშილოვის სახელობის, სოფ. ნაზარლოს ლენინის სახელობის, სოფ. მიხაილოვკის კაგანოვიჩის სახელობის, სოფ. ტატიანოვკის კრუპსკაიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს.

გამსვლელი რედაქცია კოლმეურნეობებში

საჩხერე („კომუნისტის" კორ.). საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს უხვი და ბარაქიანი მოსავლის აღება. კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა სამხედრო მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ იღებს. მაგრამ ასე არ ითქმის სოფ. მერჯევის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაზე (თავმჯდომარე ვ. მუმლაძე). კოლმეურნეობის მესამე ბრიგადა (ხელმძღვანელი დ. შამანაძე) მოუმზადებელი შეხვდა მოსავლის აღებას. ბრიგადის 5 მცელავს ცელი არ უვარგოდა. ისინი აულესავი ცელებით სცელავდნენ. ამ ბრიგადაში შრომა მოუწესრიგებელია. ხარები დაუფოცხავ ნამკალში სძოვენ და ეს ზრდის დანაკარგებს. ამ კოლმეურნეობის ყველა ბრიგადასა, რგოლსა და კოლმეურნეთა შორის გაშლილი არ არის შეჯიბრება.

სუსტად მუშაობს კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. დ. ბედინაძე) მოსავლის აღებისას დანაკარგების თავიდან ასაცილებლად.

დანაკარგები საგრძნობია აგრეთვე სოფ. ჩიხის კოლმეურნეობა „პირველ მაისში". აქ მოუწესრიგებელია შრომის აღრიცხვა.

უსათუოდ კარგად მოიქცა საჩხერის რაიონული გაზეთი, როცა ამ დღეებში სოფ. მერჯევისა და ჩიხის კოლმეურნეობებში გამსვლელი რედაქცია მოაწყო. ეს დიდად დაეხმარება კოლმეურნეობებს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში. არც ერთი თავთავი არ დავკარგოთ, უხვი მოსავალი ავიღოთ სწრაფად და უდანაკარგოდ—ასეთია ამოცანა.

იზრდება ჩაის კრეფის სტახანოველთა რიგები

მახარაძე („კომუნისტის" კორ.). მახარაძის რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ ივლისის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა, მოწინავენი არიან სოფ. შრომის, ძიმითის, ბაღდადის, მთისპირის, დვაბზუს, ჭალის, ზენის, შემოქმედის და ექადიის კოლმეურნეობები.

ყოველდღიურად იზრდება ჩაის მკრეფავ სტახანოველთა რიგები. 28 ივლისს სოფ. ხვარბეთის კოლმეურნეობის წევრმა ნათელა ვასაძემ 732 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრიფა და დღიური დავალება 3.700 პროცენტით შეასრულა. აქ ასევე წარმატებით მუშაობენ ეთერი ეგნატიევა, ნინო თავბერიძე. სოფ. გამა-დვაბზუს კოლმეურნეობაში ყორა დოლიძისა და ვერა წერომის ბრიგადები სტახანოვურად მუშაობენ. ასევე კარგად მუშაობს სოფ. ნატანების კოლმეურნეობის რგოლი, რომელსაც სოფიო ღლეყვა ხელმძღვანელობს.

ლ. ლოლაძე

მოწინავე კომბაინერები

ულიანოვკის მტს-ის კომბაინერმა მ. ბახტურიძემ 30 დღის სამუშაო 16 დღეში შეასრულა 114,5 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 221 ჰექტარის ნაცვლად, მოსავალი აიღო 253 ჰექტარზე. კარგად მუშაობდნენ ტრაქტორისტები მარგალიტა და ვასო კოქლამაზაშვილები.

მოსავლის აღებაში თავი ისახელა კომბაინერ გ. ბერუაშვილის აგრეგატმა. ბერუაშვილმა მოსავლის აღების გეგმა 250 პროცენტით შეასრულა. ამ წარმატებას აგრეგატის უფროსმა ბერუაშვილმა მიაღწია შრომის მტკიცე დისციპლინის დანერგვით, სადღეღამისო მუშაობის მოწყობით.

მტს-მა ორი დეკადის სახელმწიფო დავალება 116,5 პროცენტით შეასრულა.

ულიანოვკის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი ი. გაბისონია

კასპის რაიონში

წითელი არმიის პურის ფონდში

კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე დაიწყეს წითელი არმიის პურის ფონდში თავიანთი წვლილის შეტანა. სოფ. რგვალიჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 454 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის მარცვლეული ჩააბარა წითელი არმიის პურის ფონდში, სოფ. გრაკლის კოლმეურნეობამ—334 კილოგრამი, სოფ. მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ—1.543 კილოგრამი.

მარცვლეულის შეტანა წითელი არმიის პურის ფონდში წარმატებით გრძელდება.

სახელმწიფოს აბარებენ საუკეთესო ხარისხის მარცვალს

რაიონის კოლმეურნეობები პირნათლად იხდიან თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. ქერით და პურით დატვირთული წითელი ქარავნები ყოველდღიურად მიდიან „ზაგოტზერნოს" პუნქტისაკენ. სოფ. ხოვლეს კოლმეურნეობა „ახალმა ოჯახმა", სოფ. იგოეთის კოლმეურნეობებმა მთლიანად შეასრულეს სახელმწიფოსათვის ქერის ჩაბარების გეგმები. სოფ. მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 1.442 კილოგრამი პური.

თივის აღება

კასპის რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს თივის აღება. მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. თივა აღებულია 1.390 ჰექტარზე.

კოლმეურნეობებმა აღებული თივა ადგილზე მიიტანეს და დაზვინეს.

კოლმეურნეობებმა დაიწყეს სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარება. სოფ. მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედმა" სახელმწიფოს 1,5 ტონა თივა ჩააბარა, რაც გეგმის 102 პროცენტს შეადგენს.

თივის ჩაბარების ვალდებულება შეასრულეს აგრეთვე სოფ. გომისჯვრის, ჩხობანის, ჩაბალაურის, ხოვლეს და სამთავისის კოლმეურნეობებმა.

შ. შაველაშვილი

ორი საამქროს წარმატება

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის მექანიკურმა საამქრომ (უფროსი ამხ. გ. ხორინი) 28 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა თვიური გეგმა, 30 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა დავალება № 2 სპეცსაამქრომაც.

ეს წარმატებები, საამქროებმა მოიპოვეს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, მუშაობაში გრაფიკის ზუსტად დაცვის შედეგად.

სამექანიკო საამქროში განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ომიანობის დროის სტახანოველები. ხარატი ამხ. ჭეჟინაძე ყოველდღიურ გეგმას 300 და მეტი პროცენტით ასრულებს. ამხ. ბ. ბაღდასაროვი ყოველდღიურად 3,4 ნორმას იძლევა. ხარატი ა. ქებურია ამჟამად დაზგების მეთვალყურედ მუშაობს. იგი მთლიანად უზრუნველჰყოფს დაზგების შეუფერხებელ მუშაობას.

მექანიკურ საამქროში ოსტატი თ. დავითაშვილი ზუსტი გრაფიკით მუშაობაში ხელს უწყობს თავისი საოსტატოს ხელოსნებს, დროულად ამარაგებს სამუშაო მასალით, იარაღით, იბრძვის დავალების გადაჭარბებით შესრულებისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

№ 2 სპეცსაამქრო ივლისში ქარხნის მთავარი ინჟინრის ამხ. ე. სიხარულიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა. დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებული ორგანიზებულობა და ოპერატიულობა გამოიჩინეს ცვლის ოსტატებმა—ამხ. ა. კანდელაკმა, ა. კაშიაშვილმა და ოსტატმა ამხ. ზახარიანმა. ომიანობის დროის ტემპებით მუშაობდნენ სამასოვანი ხარატები ამხ. სახოკია, კერესელიძე, მიხანაშვილი, ხიზანაშვილი და სხვ., რომლებიც ყოველდღიურად 300-350 პროცენტით ასრულებდნენ დავალებას.

ი. სოფრომაძე

რკინიგზელთა დღეს ახალი გამარჯვებებით ხვდებიან

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ზესტაფონელი რკინიგზელები ახალი გამარჯვებებით ხვდებიან რკინიგზელთა საკავშირო დღეს. საუცხოო მაჩვენებლებს აღწევს სადგურ ზესტაფონის კოლექტივი. დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმებს სადგური გადაჭარბებით ასრულებს. სადგურის კოლექტივმა სატრანზიტო ვაგონებისა და სატვირთო ოპერაციებზე მყოფი ვაგონების მოცდენა 2 საათით შეამცირა, მატარებლების გავლა წინა თვეებთან შედარებით გაორკეცა. თავდადებულად მუშაობენ სადგურის მორიგეები ამხ. დ. ჭანკვეტაძე და მ. ნოზაძე, შემდგენელი ს. მაჭავარიანი, გადამბმელი ვლ. ვარდუკაძე, უფროსი მეისრეები ამხ. გრ. ტაბატაძე, ალ. დუგლაძე, ქ. გოცაძე, შ. ლომსაძე.

საელმავლო დეპოში ელმავლის გარბენის ტექნიკური სიჩქარე 6 კილომეტრ-საათით გაადიდეს. მემანქანე დ. ფცქიალაძემ ტექნიკური სიჩქარე 11,4 კილომეტრ-საათით გაადიდა. ასევე მოიქცნენ მემანქანეები ამხ. ალ. ნოზაძე, ზ. ზაქარიაძე, ალ. მამალკიძე. ამხ. მამალკიძე კომკავშირის სახელობის № 1921 ელმავალს მართავს. იგი ელმავლის ღუზის საკისრებს 500 კილომეტრის გავლის შემდეგ უნდა ზეთავდეს. მაგრამ ახალგაზრდა მემანქანე საკისრებს 1.000 კილომეტრის გარბენის შემდეგ ზეთავს, ისე რომ ელმავალი ამით არ ზიანდება. ამგვარად, ამხ. მამალკიძე დიდძალ საცხებ მასალას ზოგავს. ერთ თვეში 3 ტონამდე საწვავი დაზოგეს აგრეთვე მემანქანეებმა ამხ. ვ. ცერცვაძემ და გ. ბარბაქაძემ.

კარგად მუშაობენ სავაგონო დეპოშიც. აქ მატარებლის გასინჯვის დრო 20 წუთით შეამცირეს, — ნაცვლად 45 წუთისა, 25 წუთში სინჯავენ. აქვე ვაგონის ძარის გასწორებას გეგმით 2 საათი და 25 წუთი სჭირდება, მაგრამ ეს დრო 23 წუთამდე დაიყვანეს. თითქმის 6 საათით დააჩქარეს აგრეთვე ოთხღერძიანი ვაგონის გოგორწყვილების გამოცვლა. მამაცურად მუშაობენ ზეინკლები ამხ. კ. ქასრაშვილი, გ. შალამბერიძე და გამსინჯველ ი. კაკიაშვილის ცვლა.

პ. ჟიოკაძე

გარდამავალი წითელი დროშა მარგანეცის საამქროს

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მარგანეცის საამქრომ 6 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა ივლისის დავალება. წინ მიდის ორდენოსანი მეტალურგის წასიძის ბრიგადა. ლითონის დნობის გეგმებს ორმაგად ასრულებენ მეტალურგები სვანიძე, დვალი, დუბინინი, გოცაძე, შატილოვი, რეპინი, იაკოვენკო.

საამქროს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით მოგვცა ოთეულობით ტონა ლითონი. საამქროს ამ დღეებში ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 30 ივლისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად გამოცხადდა, 29 ივლისს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდი შენაერთი თავს დაესხა საარბრიუკენს, სადაც ფოლადსასხმელი და მანქანათმშენებელი ქარხნები მდებარეობს.

გუშინ დღისით ინგლისის ავიაგამანადგურებელთა მცირე შენაერთებმა კალესა და ოსტენდეს შუა მდებარე რაიონში იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის [illegible] და ავტოტრანსპორტზე.

28 ივლისს [illegible] წყალქვეშა ნავები დაბომბა [illegible].

დღეს დილით მოწინააღმდეგის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ცენტრალური საგრაფოების დასავლეთი ნაწილის ერთ-ერთ რაიონს. ერთ-ერთ პუნქტში 3 საავადმყოფო დაზიანდა.

რუზველტის განცხადება ამერიკის არმიის შემადგენლობის შესახებ

ლონდონი, 30 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რუზველტმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები ამჟამად დაახლოებით 4 მილიონი კაცისაგან შესდგება. ამრიგად სავსებით შესრულებულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრ სტიმსონის მიერ დასახული ამოცანა —3.600 ათას კაცამდე გაედიდებინა არმიის შემადგენლობა 1942 წლის დამლევისათვის.

იუგოსლაველი პარტიზანების აქტიური მოქმედება

ნიუ-იორკი, 30 ივლისი (საკდესი). იუგოსლაველმა პარტიზანებმა ბოსნია თითქმის მთლიანად გასწმინდეს ოკუპანტებისაგან. ერთ-ერთმა პარტიზანულმა რაზმმა, ესპანეთში მომხდარი სამოქალაქო ომის მონაწილე ნაჯის მეთაურობით, უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში ტყვედ ჩაიგდო 3.000 იტალიელი. დალმაციაში მოქმედმა პარტიზანებმაც ხელში ჩაიგდეს იარაღისა და სამარი მასალების დიდი საწყობები. ერთ-ერთ საზღვაო ნავსადგურზე თავდასხმის დროს პარტიზანებმა ნავსადგურის ყველა ნაგებობა და მოწყობილობა მოსპეს.

ზაგრებში საალყო წესების შემოღების დროიდან ოკუპანტებმა ქალაქის რაიონში დააპატიმრეს რამდენიმე ათასი გლეხი, რომლებსაც ბრალად ედებათ პარტიზანების დახმარება. სიკვდილით დასჯილია 104 მძევალი.

ჟენევა, 30 ივლისი (საკდესი). რადიოსადგურ „სლობოდნა იუგოსლავიას" ცნობით, ამას წინათ სოფელ მრგორიჩთან, მდინარე ლიკის რაიონში, გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა მოხდა პარტიზანულ რაზმებსა და იტალიელთა ნაწილს შორის, რომელშიც 5 ათას-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მონაწილეობდა. ბრძოლაში განადგურებულ იქნა 100-მდე ოკუპანტი. პარტიზანებმა სულ 7 კაცი დაჰკარგეს.

სოფელ რევენიკში და ქალაქ გოსპის ახლოს მომხდარი ბრძოლების დროს დამარცხებულ იქნა მტრის დიდი რაზმი; დახოცილია 170 და ტყვედ წამოყვანილია 130 იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

სოფელ მირჩიჩის და სტრომინის რაიონში იტალიელებმა, არასრული ცნობების თანახმად, ამ უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში 600-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით, მათ შორის პოლკოვნიკი; 900-ზე მეტი დაჭრილი და 74 ტყვე. პარტიზანებმა ხელთ იგდეს მდიდარი ალაფი.

მდინარე ლიკის რაიონში ბრძოლები გრძელდება.

ჰიტლერელები ფრანგ ხალხს ამოწყლომას უმზადებენ

სტამბოლი, 30 ივლისი (საკდესი). ლონდონის ჟურნალი „ნეტ ჟურს" მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორია ფიზიკური მდგომარეობა ფრანგი მოსახლეობისა, რომელიც გერმანელთა ოკუპაციის დროიდან მოკლებულია კვების ძირითად პროდუქტებს. სამედიცინო გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მოზრდილებმა, რომლებსაც, მთელ დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით პროდუქტების შემცირებული ნორმა ეძლევათ, 50 პროცენტამდე დაიკლეს წონაში. მუშამ წონაში საშუალოდ დაიკლო 30 პროცენტი, გლეხმა—15 პროცენტი.

ყველა ჰოსპიტალი სავსეა დაუძლურებისაგან მომაკვდავი ავადმყოფებით. ჰოსპიტლებში ადგილების უქონლობის გამო, ტუბერკულოზით დაავადებულთ უკვე აღარ იღებენ. როგორც ვიშის მთავრობის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, 12 მილიონამდე ფრანგი ისე ცოტას შოულობს, რომ ძლივს შეუძლია შეინარჩუნოს ის, რაც ბარათებით ერგებათ, ბარათები კი პროდუქტების მინიმალურად აუცილებელი რაოდენობის მხოლოდ მეოთხედს უზრუნველჰყოფს.

ანტიგერმანული განწყობილების ზრდა ბულგარეთში

როგორც პრესა იუწყება, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მარცვლეულის ფქვის კონტროლის გასაძლიერებლად ბულგარეთში დახურეს 6,5 ათასი „მეორეხარისხოვანი" წისქვილი. დანარჩენ დიდ წისქვილებში, სადაც ფქვა ნებადართულია, „სურსათექსპორტის" დირექციის კონტროლიორები ინიშნებიან; ეს დაწესებულება გერმანიაში სურსათის გაზიდვას განაგებს. კონტროლიორები მოწოდებულნი არიან თვალყური ადევნონ იმას, რომ გლეხებმა იმაზე მეტი მარცვლეული არ დაფქვან, რაც მათ „ნამეტის" ჩამორთმევის შემდეგ აქვთ დატოვებული.

ბალკანეთიდან ჩამოსული პირნი გადმოგვცემენ, რომ ბულგარეთში, განსაკუთრებით სურსათის მწვავე ნაკლებობასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო ძლიერად იჩენს თავს ანტიგერმანული განწყობილება.

პლოვდივის ოლქის ქალაქ დევინში დასწვეს ბულგარეთში უდიდესი ხისდამმუშავებელი ქარხანა და ხე-ტყის მასალების საწყობი. 29 ივლისს ბურგასში მოსპობილ იქნა აგრეთვე ხე-ტყის მასალების საწყობი.

ამ ცოტა ხნის წინათ ბულგარეთის სასამართლომ „ანტისახელმწიფოებრივი" მოქმედებისათვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა 17 კაცს. ასეთივე ბრალდების გამო 64 კაცს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

რუმინეთის ეკონომიკის დაშლა

ჟენევა, 30 ივლისი (საკდესი). შვეიცარიული გაზეთი „ნოიე ციურხერ ცაიტუნგი" სწერს, რომ „რუმინეთი კატასტროფის საზღვარზე იმყოფება". საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში მონაწილეობამ ძირი გამოუთხარა რუმინეთის ეკონომიკას.

„თუ რუმინელ ხელისუფლებს არა სურთ, რომ მოსახლეობა შიმშილით ამოწყდეს,—აცხადებს გაზეთი,—მათ ახალი მოსავლიდან არც ერთი კილოგრამი ხორბლეული ან სიმინდი არ უნდა გაჰგზავნონ გერმანიაში".

საგაზაფხულო თესვის დროს რუმინეთში გლეხები მასობრივ საბოტაჟს ეწეოდნენ, რადგან მათ არა სურდათ იმაზე მეტი მიწა დაეთესათ, რამდენიც აუცილებელი იყო მათი საკუთარი საჭიროებისათვის. ჰიტლერულ გაზეთ „დონაუ ციტუნგის" აღიარებით, რუმინელი ხელისუფალნი გლეხებს სასტიკი რეპრესიებით ემუქრებოდნენ და ამით აიძულებდნენ ემუშავნათ. ამჟამად სოფლის ჟანდარმერიას დავალებული აქვს „უზრუნველჰყოს მოსავლის აღება".

განსაკუთრებით სასტიკ ექსპლოატაციას განიცდის დროებით ოკუპირებული საბჭოთა რაიონების სოფლის მოსახლეობა. რუმინელი მემამულენი საბჭოთა გლეხებს მონებივით ეპყრობიან და გათენებიდან დაღამებამდე ამუშავებენ ისე, რომ მათ საშუალება არა აქვთ ერთი ნატეხი პური შესჭამონ და ყელი გაისველონ წყლით.

დ. გურამიშვილის ხსოვნის საღამო

შაბათს, 1 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მწერალთა კავშირი აწყობს ლიტერატურულ საღამოს, მიძღვნილს დავით გურამიშვილის გარდაცვალების 150 წლისთავისადმი.

საღამო გაიხსნება ირ. აბაშიძის შესავალი სიტყვით. მოხსენებას დ. გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს გ. ლეონიძე. სიტყვებს წარმოსთქვამენ: ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, გ. ქიქოძე, შ. რადიანი, პ. ქლენტი, ა. გაწერელია. დ. გურამიშვილის და მისდამი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ ს. ჩიქოვანი, ი. ნოვიკოვი, დ. სტრელცოვი, ა. თოიძე, ვ. გოძიაშვილი, გ. აბაშიძე.

ლექციები და მოხსენებები

1 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. პავჩინსკის (რუბენი) ლექცია თემაზე: „ომი ეგვიპტეში".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი წინადადებას აძლევს ანა ალექსანდრეს-ასულ ბაბუნკოს და ელენე ბაღდოს-ასულ ფარნაოზოვას სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის სოორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და კომკავშირელი (საზაფხულო და ზამთრის)—„საბრძოლო კინოკრებული № 10". ოქტომბერი—„მეხუთე ოკეანე". დამკვრელი (საზაფხულო)—„ჩემი სიყვარული". დამკვრელი (ზამთრის)—„არსენა". ხპარტაკი—„უკანასკნელი მასკარადი". 26 კომ. სახ. და კომინტერნი—„ჯადოსნური მარცვალი". მეცნიერება და ცოდნა—„ოპენჰეიმის ოჯახი".

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექციისაგან

სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩაჰარიცხავად შერჩეული სტუდენტები თბილისისა და მისი რაიონიდან უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტის დირექტორთან 31 ივლისს და 1 აგვისტოს, დღის 2 საათიდან.

დანარჩენი რაიონების შესახებ ვადებზე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ვინც დანიშნულ ვადაში არ გამოცხადდება, ინსტიტუტში არ იქნება ჩარიცხული.

სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი მეცნ. დამს. მოღვაწე პროფ. ქ. ერისთავი

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

მუსიკალური კომედიის—31 ივლისს — „ცისფერი კლდეები", 1 აგვისტოს— „აყვავებული ბაღი", 2 აგვისტოს დღისით—„აყვავებული ბაღი". ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი — ყოველდღე სახული ორკესტრი, ჯაზი, ევროპული ცეკვები, საპარკო ატრაქციონი, კინო ახალი პროგრამით, კარუსელი, საბავშვო რკინიგზა და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში

1942-43 სასწავლო წლისათვის გრძელდება განცხადებების მიღება სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტებზე:

მიღების პირობები იხილეთ გაზ. „კომუნისტის" ა. წ. 4 და 12 ივნისის ნომრებში, აგრეთვე ინსტიტუტში.

მისაღები გამოცდები 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე. მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 21. ტელ. 3—64—11. 202

გამომცემლობა „კომუნისტის" მუშაკთა კოლექტივი იუწყება ამხ. შალვა მანჯავიძის მამის

ალექსი ანტონის-ძე მანჯავიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხარაგოულში (ორჯონიკიძის რ.), 1 აგვისტოს.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ტრ. თოდრაძის დედის

მატრონე თოდრაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/VIII, სოფ. წითელმთაში (მახარაძის რაიონი).

საკურორტოსტის პურის № 3 ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება მარო ნერსესაშვილის მეუღლის

გიორგი მიხეილის-ძე სავიცკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/VII და 1/VIII 6 ს. პონქაძის ქ. № 10. დაკრძალვა 2/VIII, 6 ს. კუკიის სასაფლაოზე. 964

თბილისის საბჭოს აღმასკომის ტრესტ „თბილქალაქპროექტის" თანამშრომლები იუწყებიან არქიტექტორ ნადია შენგელიას მამის

ისიდორე გიორგის-ძე შენგელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. კულაშში, 1/VIII. 966

საქ. შრომითი რეზერვების სამმართველოს კოლექტივი იუწყება კოსტა გაბელიას სიდედრის

ანეტა ქუჩულორიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/VII და 1/VIII 8 ს. ფოთის ქ. № 6. დაკრძალვა 2/VIII, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 965

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 2/VIII, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია თინა ფიცხელაურის მამის

გიორგი ვასილის-ძე ფიცხელაურის

სამოქალაქო პანაშვიდი. 967

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 5990